თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N7

ქ. თელავი 2020 წლის 18 სექტემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, არჩილ თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ლიკა ალადაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები შედის ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამკიცების შესახებ'' თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში. პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათი არ იძლევა საშუალებას განისაზღვროს რითაა გამოწვეული დებულების პუნქტების, ძირითადი ნაწილის კორექტირება, ზოგ შემთხვევაში შეცვლა ან ამოღება.

გადაწყვიტეს: ეთხოვოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას წარმოადგინოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანის დასაბუთებული პროექტი.

კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე